საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/37

ქ. ბათუმი **24 ივნისი, 2022 წელი**

ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე მე-3 ნაკადზე ჩარიცხული ზოგიერთი სტუდენტის მე-12 სემესტრის სწავლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ

ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, ე.წ. მესამე ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებს (110 კურსდამთავრებული), რომლებსაც ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 04 აპრილის N27-05/05 საოქმო გადაწყვეტილებით 11 სემესტრში შესრულებული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით მიენიჭათ კვალიფიკაცია, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/20 გადაწყვეტილების საფუძველზე კი განთავისუფლდნენ მე-12 სემესტრის სწავლის საფასურის გადახდისაგან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 04 აპრილის N27-05/05 საოქმო გადაწყვეტილების („დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამის სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე) და ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 23 ივნისის N700554 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, **ე.წ. მესამე ნაკადზე ჩარიცხულ პირთაგან <u>16 სტუდენტს არ მიენიჭა კვალიფიკაცია, რადგანაც</u>** ასათვისებელი დარჩათ კრედიტების გარკვეული რაოდენობა. აღნიშნულ პირთაგან 15 სტუდენტმა 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში (სწავლების **მე-12 სემესტრი) დაარეგისტრირა დავალიანებული სასწავლო კურსები/კრედიტები** (კურსის გავლის ფორმატში).

ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 23 ივნისის N700554 სამსახურებრივი ბარათის და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/20 გადაწყვეტილების

გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სამსახურებრივ ბარათში აღნიშნული 16 სტუდენტი, თანაკურსელების მსგავსად (თანაბარი მოპყრობის პრინციპის შესაბამისად) განთავისუფლდნენ ბსუ-ში სწავლის მე-12 სემესტრის სწავლის საფასურის გადახდისაგან და 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური განესაზღვროთ მხოლოდ ამავე სემესტრში ე.წ. კურსის გავლის ფორმატში“ დარეგისტრირებული ასათვისებელი სასწავლო კურსების (დავალიანებული კრედიტების) შესაბამისად.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე’ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის საოქმო N27-05/3 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველ ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 აპრილის N06-01/32 დადგენილების, ,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა (პირველ ნაკადზე ჩარიცხული) მე-6 სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებისა და დიპლომების სტანდარტული დანართებით პირობითი გაცემის შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 2 ივნისის N07-01/21 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ კურსდამთავრებულთა (პირველ და მე-2 ნაკადზე ჩარიცხული) სწავლის საფასურის გადახდისაგან ნაწილობრივი გათავისუფლებისა და დიპლომების სტანდარტული დანართებით პირობითი გაცემის შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 22 ოქტომბრის N07-01/53 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების, ამავე პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისთვის 2020-2021 სასწავლო წლის ბოლოს კვალიფიკაციის მინიჭებისა და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/86 დადგენილების (ასევე ამავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 მარტის აკადემიური საბჭოს N06-01/27 დადგენილების), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 04 აპრილის N27-05/05 საოქმო გადაწყვეტილების (,,დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამის სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე), ამავე ფაკულტეტის <u>დეკანის 2022 წლის 23 ივნისის N700554 სამსახურებრივი ბარათის</u> და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, ე.წ. მესამე ნაკადზე ჩარიცხული 16 სტუდენტი განთავისუფლდეს მე-12 სემესტრის სწავლის საფასურის გადახდისაგან და 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის საფასური განესაზღვროთ მხოლოდ ამავე სემესტრში ე.წ. მხოლოდ ,,კურსის გავლის ფორმატში" დარეგისტრირებული ასათვისებელი სასწავლო კურსების (კრედიტების) შესაბამისად **დანართი N1**-ის მიხედვით.
2. წინამდებარე გადაწყვეტილება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და უზრუნველყოფილი იქნეს ბსუ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტუდენტებისათვის გაცნობა და მათ პირად საქმეებში განთავსება.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე მე-3 ნაკადზე ჩარიცხული ზოგიერთი სტუდენტის მე-12 სემესტრის სწავლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ“

წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის

N07-01/37 გადაწყვეტილების

დანართი N1

№	მე-3 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტის **გვარი**	მე-3 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტის **სახელი**	**პასპორტის ნომერი**	სტუდენტის მიერ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **დარეგისტრირებული და ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**
1	სინგჰ	ლაკჰან		31
2	უპპუ	აბჰირამ		23
3	ჩანგელა	ვაიშალი რამეშკუმარ		18
4	მადუგულა	რაჰულ სანკრუთჰიან		46
5	მანეკ	პრაგნაბა პრათაპსინჰ	ა ძ	20
6	მანეკ	ჯიოთი		4
7		პრათეეკ		29
8	რათჰიი	საგარი		25
9		მოჰამმედ კჰალეემულლაჰ		27
10	თომერ	ანჩალ		26
11	ლოპეს	იგნათიუს	ა ძ	34

12	თრივედი	პიიუშ კუმარ		5
13	მოჰამმედ	აბდულ ფარააზ სიდდიქუი		35
14	პოკიია	ჯევინ ჯითეშბჰაი		7
15	შარმა	ნითინ		34
16	ვიდჰიამარი	სრინათჰ		0